



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო  
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტი

ადმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მესამე პროექტი

E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის სვენეთი-რიკოთის მონაკვეთის  
მოდერნიზაცია-მშენებლობა

დეკემბერი 2011 წ.

## 1. შესავალი

აღნიშნული განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ **აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მესამე პროექტისთვის - დამატებითი დაფინანსება** (“პროექტი”). თავდაპირველი განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტი განახლდა დეტალური პროექტირების ეტაპზე წარმოდგენილი გარკვეული ცვლილებების, ისევე როგორც საქართველოს კანონმდებლობაში შესული ცვლილებების გათვალისწინებით. წინამდებარე განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტის საწყისი ვერსია მომზადდა 2009 წლის აპრილში აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მესამე პროექტის (დამატებითი დაფინანსება) განხორციელებით გამოწვეული მოსალოდნელი ზეგავლენის შესამცირებლად პროცედურებისა და პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით. პროექტი მოიცავდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის სვენეთი-რიკოთის მონაკვეთის მშენებლობას.

ამჟამად მიმდინარეობს სვენეთი-რუისის მონაკვეთის გაუმჯობესება. რუისი-რიკოთის მონაკვეთის დეტალური პროექტი მომზადების პროცესშია. განახლებული განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტი განიხილება, როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის რუისი-რიკოთის მშენებლობა/გაუმჯობესებასთან დაკავშირებული განსახლების პროცესის მარეგულირებელი სახელმძღვანელო დოკუმენტი.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია **აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მესამე პროექტის (დამატებითი დაფინანსება)** ფარგლებში ქვე-პროექტების განსახორციელებლად მიწის შესყიდვისა და განსახლების ღონისძიებების მომზადება/განხორციელებისთვის ხელმძღვანელობის გაწევა და აუცილებელი პირობების განსაზღვრა, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროექტის განხორციელება მსოფლიო ბანკის არანებაყოფლობითი პოლიტიკის (OP 4.12) მოთხოვნების შესაბამისად. განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტი ადგენს პროგრამის ფარგლებში არსებული პროექტების მიწის შესყიდვისა და განსახლების ღონისძიებების მომზადების მექანიზმებს და განსაზღვრავს ზემოქმედებას დაქვემდებარებული ოჯახებისა და პირების საკომპენსაციოდ, განსახლებისა და საცხოვრებელი სტანდარტების სარეაბილიტაციოდ გამოსაყენებელ პრინციპებს, საკომპენსაციო უფლებებს/კრიტერიუმებს, საკანონმდებლო/ინსტიტუციურ ჩარჩოებს, საკონსულტაციო პროცედურებს და საჩივრების განხილვის მექანიზმებს. წინამდებარე განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია ქვე-პროექტებისთვის საჭირო განსახლების სამოქმედო გეგმების მოსამზადებელი ეტაპები.

## 2. პროექტის ზემოქმედების არეალი

რუისი-რიკოთის დაახლოებით 49 კილომეტრიანი მონაკვეთი არის ორზოლიანი გზა, რომელიც მთავორიან და ვაკე რელიეფზე გადის. პროექტი ითვალისწინებს არსებული ორზოლიანი საავტომობილო გზის ოთხზოლიან ავტომაგისტრალად გარდაქმნას. პროექტი ფინანსდება საქართველოს მთავრობის მიმართ გაცემული მსოფლიო ბანკის სესხით და მიზნად ისახავს აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის

რამდენიმე სეგმენტის მოდერნიზებას. გზა გადის დასახლებულ სოფლებსა და ქალაქ ხაშურში, სადაც გადატვირთული მოძრაობაა და აქედან გამომდინარე მოძრაობის უსაფრთხოების საკითხი მართლაც მნიშვნელოვანია მჭიდროდ დასახლებულ ურბანულ ადგილებსა და ურბანულ გზებზე. დეტალური პროექტი მოიცავს რუისის მონაკვეთს რიკოთის გვირაბამდე (კმ95 - კმ143) და არ ითვალისწინებს თავად რიკოთის გვირაბთან დაკავშირებულ სამუშაოებს.

მთლიანად საპროექტო მიმართულება დაიყოფა 2 ან 3 ქვე-მონაკვეთად და პროექტი წარმართება ფაზების მიხედვით. პირველი ფაზა მოიცავს 1 ქვე-მონაკვეთს (კმ95 – კმ114). მომდევნო ქვე-მონაკვეთის (კმ114 - კმ143) მშენებლობა მოხდება 1 ან 2 ფაზად. აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის რუისი-რიკოთის მონაკვეთის სამშენებლო ღონისძიებები მოიცავს მიწის შესყიდვასა და განსახლებას, რისთვისაც საჭიროა მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი განსახლების სამოქმედო გეგმის შემუშავება. მსოფლიო ბანკის/აზიის განვითარების ბანკის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, პროგრამის განმახორციელებელმა უწყებამ, თითოეული ქვე-მონაკვეთისთვის ცალ-ცალკე უნდა მოამზადოს განსახლების სამოქმედო გეგმები.

### **3. სამართლებრივი ჩარჩოები და პოლიტიკა**

#### **3.1 საქართველოს კანონმდებლობა და ნორმები მიწის შესყიდვისა და განსახლების შესახებ**

ქვემოთ მოყვანილი საკანონმდებლო აქტები არეგულირებენ საქართველოში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე სახელმწიფო საკუთრების უფლების მოპოვებას, რაც აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების საფუძველზე და გზის საამშენებლო სამუშაოებიდან გამომდინარე კეთდება:

- საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი;
- საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, 2007 წლის 08 მაისი;
- საქართველოს კანონი სანოტარო საქმიანობის შესახებ, 2009 წლის 4 დეკემბერი;
- საქართველოს კანონი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის შესახებ, 2005 წლის 8 ივლისი;
- საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ, 1996 წლის 22 მარტი;

- საქართველოს კანონი ფიზიკური ან იურიდიული პირების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული მიწის მიწის ნაკვეთების, ქონების საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, 2007 წელი;
- საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ (№820-III; 2008 წლის 19 დეკემბერი);
- საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების უფლების ჩამორთმევის წესის შესახებ, 1999 წელი 23 ივლისი;
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წლის 14 ნოემბერი.

მთლიანობაში, ზემოთ მოცემული კანონები/ნორმები ითვალისწინებს, რომ ადგილმონაცვლოების ხარჯების საბაზრო ღირებულების მიხედვით ანაზღაურების პრინციპი მიზანშეწონილი და მისაღებია სამართლებრივი თვალსაზრისით. კანონმდებლობით ასევე განსაზღვრულია საკომპენსაციო ზიანის ტიპები და აღნიშნულია, რომ კომპენსაცია უნდა გაიცეს როგორც მატერიალური აქტივების, ისე შემოსავლის დაკარგვისათვის. ხსენებული კანონების თანახმად კონსულტაციებსა და შეტყობინებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების ამ პროცესში ჩართულობა. მოსავლის დაკარგვითა და ბიზნესის დახურვით გამოწვეული შემოსავლის დაკარგვისთვის კომპენსაციის გაცემა მოხდება წმინდა დანაკარგის ასანაზღაურებლად. ზემოთ მოცემული კანონები და ნორმები საშუალებას იძლევა საკუთრების უფლების კანონიერი გამოყენებისთვის დავეყრდნოთ შემდეგ მექანიზმებს:

- განთვისების ზოლზე უფლების მოპოვება ექსპროპრიაციის გარეშე შესაბამისი კომპენსაციის გადახდის გზით (მოლაპარაკების ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე) სამუშაოების დაწყებამდე.
- ექსპროპრიაცია, რომელიც მიწაზე და/ან უძრავ ქონებაზე მუდმივი უფლების მოპოვების საშუალებას იძლევა “საზოგადოებრივი საჭიროებისათვის კერძო საკუთრების არანებაყოფლობითი გასხვისების შესახებ კანონის” ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სათანადო კომპენსაციის გადახდის გზით.

უპირველეს ყოვლისა, მცდელობა მიმართული უნდა იყოს საიმისოდ, რომ კერძო საკუთრებაში არსებული მიწების შექენა მოხდეს ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ ინდივიდუალურ პირებთან მოლაპარაკების გზით. წარუმატებელი მოლაპარაკებების შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნას საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აუცილებელი საკუთრების ჩამორთმევის უფლება და დაიწყოს ექსპროპრიაციის პროცესი. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი შესაბამისი უწყებების მოთხოვნის საფუძველზე გასცემს ექსპროპრიაციის განკარგულებას. შესაბამისი რეგიონული სასამართლო შეაფასებს პრეზიდენტის ბრძანებას და განსაზღვრავს საზოგადოებრივ საჭიროებას, მიაჩნებს რა ექსპროპრიატორს მიწების დაკავების უფლებას. სასამართლო ასევე დანიშნავს მესამე მხარეს დაკარგული აქტივების საბაზრო ფასის დასადგენად და

იმის განსახილვერად, თუ რა კომპენსაცია უნდა გაიცეს შესაბამის მიწის მესაკუთრეებზე იქ მდებარე აქტივების ღირებულების გათვალისწინებით.

### **3.2. მსოფლიო ბანკის არანებაყოფლობითი განსახლების პოლიტიკით (OP 4.12) განსაზღვრული არანებაყოფლობითი განსახლების მოთხოვნები**

მსოფლიო ბანკის პოლიტიკა არანებაყოფლობითი განსახლების შესახებ ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- არანებაყოფლობითი განსახლება თავიდან უნდა იქნას აცილებული ან უკიდურეს შემთხვევაში მინიმუმამდე შემცირდეს;
- საკომპენსაციო/სარეაბილიტაციო პირობებით უზრუნველყოფილი უნდა იქნას პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების პროექტამდე არსებული ცხოვრების დონის აღდგენა.
- ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები სრულყოფილად უნდა იყვნენ ინფორმირებული მიწის შესყიდვისა და განსახლების საკომპენსაციო ვარიანტების შესახებ.
- ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების სოციალურ-კულტურული ინსტიტუციები მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული/მხარდაჭერილი.
- კომპენსაციების გაცემისას ქალთა და მამაკაცთა უფლებები თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული.
- რეგისტრაციის არ ქონა არ უნდა იყოს კომპენსაციის და/ან რეაბილიტაციის დამაბრკოლებელი გარემოება.
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალების მიერ მართულ შინამეურნეობებს და სხვა სოციალურად დაუცველ ჯგუფებს, როგორცაა მკვიდრი მოსახლეობა, და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გაეწიოს შესაბამისი დახმარება.
- მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს პროექტის შემადგენელი ნაწილის სახით და კომპენსაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ასახულ უნდა იქნას პროექტის ხარჯებსა და სარგებელში.
- საკომპენსაციო და განსახლების სუბსიდიები სრულად უნდა გაიცეს განთვისების ზოლის გამოთავისუფლებამდე / ზედაპირის მოსწორება და დანგრევამდე.

### **3.3. მიწის შესყიდვისა და განსახლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და პროცედურების და მსოფლიო ბანკის არანებაყოფლობითი განსახლების პოლიტიკით (OP 4.12) განსაზღვრული მოთხოვნების შედარება**

მსოფლიო ბანკის OP 4.12-ით განსაზღვრული ძირითადი საკითხები ადეკვატურად რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, თუმცა რამდენიმე სხვაობა მაინც უნდა აღინიშნოს. ერთ-ერთი უმთავრესი შეუსაბამობა არის ის, რომ საქართველოს კანონმდებლობით/ნორმებით სპეციალური მნიშვნელობა ენიჭება ოფიციალური

საკუთრების უფლებას და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების შექმნისა და კომპენსაციის საკითხებს, მაშინ როდესაც ბანკის პოლიტიკის (OP 4.12) შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა როგორც კანონიერ საკუთრებში არსებულ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ აქტივებს, ისე პროექტის გავლენის ქვეშ მყოფი პირების ცხოვრების სტანდარტებს და შინამეურნეობებს. აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ემატება არანებაყოფლობით განსახლებასთან დაკავშირებული მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკით განსაზღვრული მოთხოვნები, რომლებიც ეხება (i) ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა პირის/შინამეურნეობის ეკონომიკურ რეაბილიტაციას (მათ შორის ისინი, ვისაც პროექტის ფარგლებში შექმნილ აქტივებზე კანონიერი/ოფიციალური უფლება არ გააჩნია), (ii) ბიზნესისა და შემოსავლის დაკარგვისთვის საკომპენსაციო პირობებს, (iii) და სპეციალურ შემწეობას, რომელიც მოიცავს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისა და შინამეურნეობების ხარჯებს განსახლების პროცესის დროს ან ძლიერი ზეგავლენის ქვეშ მყოფთა და მოწყვლადი ჯგუფების სპეციალური საჭიროებების ხარჯებს. ამასთანავე, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საზოგადოებასთან ინტენსიური კონსულტაციების საფუძველზე განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადებასთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ დონისძიებებს. საქართველოს კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის პოლიტიკას შორის არსებული განსხვავებები ასახულია ქვემოთ მოცემულ №1 ცხრილში.

ცხრილი 1: მიწის შესყიდვისა და განსახლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის არანებაყოფლობითი განსახლების პოლიტიკის (OP 4.12) შედარება

ქართული კანონები და ნორმები	მსოფლიო ბანკის OP 4.12
მიწის კომპენსაცია მხოლოდ რეგისტრირებული მიწის მესაკუთრეთათვის. პრაქტიკაში, იმ მიწის მესაკუთრეებს, ვისი მიწებიც ლეგალიზებას ექვემდებარება, ასევე ეძლევათ კომპენსაცია აუცილებელი საბუთების გაფორმების შემდეგ.	რეგისტრაციის არ ქონა არ უნდა იყოს კომპენსაციის და/ან რეაბილიტაციის მიღების დამაბრკოლებელი გარემოება. მიწის არაკანონიერი მომხმარებლებიც იღებენ რეაბილიტაციას
მხოლოდ რეგისტრირებულ სახლებზე/შენობებზე გაიცემა კომპენსაცია პროექტის შედეგად გამოწვეული ზიანის/ნგრევებისთვის	ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სახლებზე/შენობებზე გაიცემა კომპენსაცია პროექტის შედეგად შენობაზე მიყენებული ზიანის/ნგრევებისთვის
კომპენსაცია მოსავლის დაკარგვისთვის გაიცემა მხოლოდ რეგისტრირებულ მიწის მესაკუთრეებზე	კომპენსაცია მოსავლის დაკარგვისთვის გაიცემა მიწის მესაკუთრეებზე და მოიჯარეებზე, განურჩევლად იმისა რეგისტრირებულია თუ არა
საავტომობილო გზების დეპარტამენტში არსებული მიწის შესყიდვის კომისია წარმოადგენს ერთადერთ უწყებას, რომელიც უფლებამოსილია სასამართლო პროცესის დაწყებამდე მოაგვაროს დავები და განიხილოს საჩივრები ზემოქმედების ქვეშ მოქცეული აქტივების რაოდენობისა და კომპენსაციის	საჩივრების გადაწყვეტა თემის მონაწილეობით არაოფიციალურად ხდება საჩივრების განხილვის კომიტეტებში, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და/ან ადგილობრივ დონეზე შექმნილ ორგანიზაციებში.

დადგენასთან დაკავშირებით	
მიწის შესყიდვასა და განსახლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები განიხილება მხოლოდ მიწის მესაკუთრეებსა და მიწის შემსყიდველ უწყებებს შორის	ინფორმაცია რაოდენობის განსაზღვრის, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული აქტივების ღირებულების, საკომპენსაციო ზომებისა და საკომპენსაციო/ფინანსური დახმარების ოდენობის შესახებ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მოსახლეობას პროექტის შეფასებამდე უნდა მიეწოდოს.
არა არის გათვალისწინებული შემოსავლის/საარსებო წყაროს რეაბილიტაციის, ძლიერი ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ან მოწყვლადი პირების შემწვობების ან განსახლების ხარჯების განმსაზღვრელი პირობები.	მსოფლიო ბანკის პოლიტიკით მოთხოვნილია შემოსავლის/საარსებო წყაროს დიდი დანაკარგის და ადგილმონაცვლეობის პროცესში ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების მიერ გაწეული ხარჯების რეაბილიტაცია
ქართული კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული საჯარო შეხვედრების კონკრეტული გეგმა	საჯარო შეხვედრები და საზოგადოების ჩართულობა მსოფლიო ბანკის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, რაც კონცეფციის შემუშავების, განხორციელებისა და განხორციელების შემდგომ პერიოდში უწყვეტ პროცესს წარმოადგენს

საქართველოს კანონმდებლობას/ნორმებსა და მსოფლიო ბანკის OP 4.12-ს შორის არსებული შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა პროექტისთვის შეიმუშავა წინამდებარე განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტი, რომლის თანახმადაც უზრუნველყოფილია ყველა პუნქტის კომპენსაცია ადგილმონაცვლეობის ღირებულების გათვალისწინებით, არაოფიციალური ახალმოსახლეების რეაბილიტაცია და სუბსიდიების ან შემწვობების გაცემა იმ პირებზე, ვისაც შესაძლოა შეეხოს ადგილმონაცვლეობა, მოექცეს პროექტის ძლიერი ზემოქმედების ქვეშ ან ჰქონდეს ბიზნეს დანაკარგები.

### 3.4 განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტით განსაზღვრული მიწის შესყიდვის პრინციპები და პროცედურები

პროექტის უმნიშვნელოვანესი მიზანი მიწისა და ქონების გასხვისების კუთხით არის პროექტის ზემოქმედებას დაქვემდებარებული (პზდ) პირებისთვის დახმარების გაწევა, რომ მათი საარსებო პირობები მინიმუმ პროექტამდე არსებული პირობების დონეზე აღდგეს. კონკრეტული მიზნები უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- გზის მშენებლობა ისე უნდა განხორციელდეს, რომ მაქსიმალურად აერიდოს დასახლებულ პუნქტებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ხალხის ფიზიკური გადაადგილება; შერჩეულმა გზის მიმართულებამ მინიმალურად უნდა მოითხოვოს კერძო საკუთრებაში ან საზოგადო საკუთრებაში არსებული მოსავლიანი მიწის განთვისება;
- პროექტირების ისეთი სტანდარტების მიღება, რაც მინიმუმამდე შეამცირებს მიმდებარე ტერიტორიებზე მიწათსარგებლობაზე შეზღუდვების დაწესებას.

- წინამდებარე განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტის განმარტებითი ცხრილის შესაბამისად კომპენსაციის განსაზღვრის სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურების შემუშავება შემდეგი შემთხვევებისთვის: (i) მშენებლობის პროცესში მიწისა და ქონების დროებითი დაკარგვა; (ii) მიწისა და ქონების მუდმივი დაკარგვა; (iii) კორიდორის მიმდებარე ტერიტორიებზე მიწათსარგებლობაზე შეზღუდვების დაწესება.
- მიწის განთვისება (ან მიწათსარგებლობის უფლების) მოლაპარაკებებით მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, უკიდურეს შემთხვევაში “საზოგადოებრივი საჭიროებისათვის კერძო საკუთრების არანებაყოფლობითი გასხვისების შესახებ” უფლების გამოყენებით;
- მშენებლობის დასრულების დროისთვის, მიწის აღდგენა წინანდელ მდგომარეობასთან მაქსიმალურად მიახლოებით, რათა მიწის მესაკუთრებს/მოსარგებლებებს/მოიჯარეებს საშუალება მიეცეთ სრულყოფილად განაახლონ პროექტის დაწყებამდე განხორციელებული საქმიანობა.
- პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ხალხისა და თემების მაქსიმალურად ინფორმირება პროექტისა და იმ პროცესის შესახებ, რაც მიწის განთვისებას და კომპენსაციებს ახლავს, ამ საკითხებთან დაკავშირებით მათ უფლებებში და პრეტენზიების დაკმაყოფილების საშუალებებში გარკვევა.
- პროექტის ზემოქმედებას დაქვემდებარებული (პზდ) ადამიანების საჩივრების სათანადოდ განხილვის უზრუნველყოფა და წინამდებარე განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტში მოცემული პრინციპების შესაბამისად მოგვარება.
- პროექტის ზემოქმედებას დაქვემდებარებული (პზდ) ადამიანები, საკუთრების სამართლებრივი სტატუსის განურჩევლად, წინამდებარე განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტში მოცემული პრინციპების გათვალისწინებით მიიღებენ სხვადასხვა სახის მხარდაჭერას, მათთვის ცხოვრების საარსებო წყაროს შენარჩუნებასა და პროექტის განხორციელებამდე არსებული საცხოვრებელი პირობების აღდგენაში დახმარების გაწევის მიზნით. მიწების დაკარგვისათვის კომპენსაციები არ გაიცემა იმ პირებზე, რომლებიც არაღებულად ფლობენ მიწებს, მაგრამ კომპენსაციას მიიღებენ საკუთარი ფულადი სახსრებით შექმნილი სხვა აქტივების დაკარგვის შემთხვევაში და ისეთი შემოსავლის დაკარგვისათვის, რომელიც მათთვის საარსებო წყაროს წარმოადგენდა. გამოსაყენებელი ზომები დეტალურად განისაზღვრება აღწერასა და იმ სოციალურ-ეკონომიკურ მიმოხილვაზე დაყრდნობით, რომელიც განხორციელდება განსახლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.
- პროექტის ზემოქმედებას დაქვემდებარებულ (პზდ) პირებს უნდა ეცნობოთ პროექტის განხორციელების გრაფიკი და გაეწიოთ კონსულტაცია მიწის განთვისებასა და ქონებისთვის მიყენებული ზიანისა და მისი დაკარგვის პრინციპებზე.



- ქონებისთვის, როგორცაა ნათესები, ხეები, ღობეები და ჯიხურები, მიყენებული ზიანი, აგრეთვე შემოსავლის დაკარგვა, აუცილებლობის შემთხვევაში, ანაზღაურდება ამ ჩარხო-დოკუმენტის განმარტებითი ცხრილის შესაბამისად, მესაკუთრეობის სამართლებრივი სტატუსის განურჩევლად.

საპროექტო მარშრუტის ყოველი მონაკვეთისთვის განსახლების სამოქმედო გეგმა შემუშავდება განსახლების პოლიტიკის ჩარხო-დოკუმენტისა და მსოფლიო ბანკის სამოქმედო პოლიტიკის (OP 4.12), ასევე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს საკომპენსაციო პაკეტებს და განხორციელების გრაფიკს. იქიდან გამომდინარე, რომ როგორც უკვე აღინიშნა, მსოფლიო ბანკის განსახლების პოლიტიკასა (OP 4.12) და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, აგრეთვე ექსპროპრიაციის პრაქტიკას შორის არსებობს შეუსაბამობა, პროექტის ფარგლებში საჭირო ნებისმიერი მიწის შესყიდვა განხორციელდება წინამდებარე განსახლების პოლიტიკის ჩარხო-დოკუმენტში ასახული პრინციპებისა და პროცედურების თანახმად.

მიწების, ზემოქმედებაში მოქცეული ნაგებობებისთვის საჭირო სამშენებლო მასალების, მოსავალისა და სხვა შესაბამისი კომპონენტების უპირატესი საბაზრო ფასების დასადგენად მოხდება ბაზრის შესწავლა, რის შედეგადაც მიღებული ერთეული ფასები გამოყენებული იქნება კომპენსაციების განსაზღვრისათვის. ყოველივე ეს დამატებით უზრუნველყოფს და შესაძლებლობას მისცემს პროექტის ზემოქმედებას დაქვემდებარებულ მოსახლეობას საბაზრო ფასებით შეისყიდონ სანაცვლო მიწები.

შემოსავლისა და ქონების დაკარგვისათვის კომპენსაციების გაცემა მოხდება წმინდა თანხით - გადასახადების, ამორტიზაციისა და სხვა დასაქვითი თანხის გარეშე;

შესაბამის მონაკვეთებზე სამშენებლო სამუშაოების წარმოებამდე საბოლოო განსახლების სამოქმედო გეგმა შესათანხმებლად უნდა წარედგინოს ბანკს.

მიწის განთავსების პროცედურასთან დაკავშირებული დეტალები მოცემული იქნება განსახლების სამოქმედო გეგმაში, რომელიც უნდა ასახავდეს:

- პზდ მოსახლეობასთან საწყისი კონსულტაციების გამართვას, რაც მიზნად ისახავს პროექტისა და მაშტაბური ზემოქმედების იდენტიფიცირებას;
- პზდ მოსახლეობასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებას, გეოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ მიმოხილვას;
- პზდ მოსახლეობისა და ზემოქმედების ტიპის/ინტენსივობის განსაზღვრას;
- საკომპენსაციო პაკეტის და განსახლების სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავებას;
- პზდ მოსახლეობასთან კონსულტაციებს;
- პზდ მოსახლეობასთან მოლაპარაკებებსა და კომპენსაციის გაცემას;
- წარუმატებელი მოლაპარაკებების შემთხვევაში, ექსპროპრიაციის პროცესს;

- საკომპენსაციო/სარეაბილიტაციო ზომები განხორციელდება სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის მიხედვით, მაგრამ კონკრეტულ მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.

**4. საკომპენსაციო უფლებები და აღქვამატურობა**

მიწის შესყიდვისა და განსახლების ღონისძიებები პროექტის ფარგლებში განხორციელდება საკომპენსაციო უფლებებისა და შესაბამისობის მატრიცის თანახმად როგორც საქართველოს კანონმდებლობისა და ნორმების, ისე მსოფლიო ბანკის პოლიტიკის შესაბამისად. საკომპენსაციო უფლებების მატრიცა მოცემულია №2 ცხრილში.

**ცხრილი 2: საკომპენსაციო უფლებამოსილების მატრიცა**

დანაკარგის ტიპი	ზემოქმედება	პზდ პირების კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
<b>მიწა</b>			
სასოფლო-სამეურნეო მიწის მუდმივი დაკარგვა	ოჯახები, რომლებიც კარგავენ სასოფლო-სამეურნეო მიწას ზემოქმედების სიმწვავის განურჩევლად	სრულყოფილად დარეგისტრირებული მესაკუთრეები	ნაღდი ფულით კომპენსაცია ჩანაცვლების ღირებულებით, ან დაკარგული მიწის ექვივალენტური ღირებულების მიწით ჩანაცვლება, პზდ პირისთვის მისაღები ადგილმდებარეობით, როცა შესაძლებელია. პროგრამისთვის არჩეული ვარიანტია ფულადი კომპენსაცია. თუ ნარჩენი მიწის ნაკვეთი გამოუსადეგარია გამოყენებისათვის, ეს მიწის ნაკვეთი ასევე შეძენილ იქნება პროექტის მიერ, თუ მიწის მესაკუთრე მოისურვებს.
		ლეგალიზაციას დაქვემდებარებული მესაკუთრე	ზემოქმედების ქვეშ მყოფი ასეთი მოსახლეობის უფლებები დაკანონებული იქნება და მიიღებენ ფულად კომპენსაციას ჩანაცვლების ღირებულებით.
		უკანონო მფლობელები/რეგისტრაციის/ კანონიერი დოკუმენტაციის არმქონე პზდ პირები	12 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობის ექვივალენტური ერთჯერადი ფულადი შემწეობა თვითგადაადგილებისთვის*.
არასასოფლო-სამეურნეო მიწა	ოჯახები, რომლებიც კარგავენ	სრული რეგისტრაციის მქონე მესაკუთრე	ნაღდი ფულით კომპენსაცია ჩანაცვლების ღირებულებით, ან

დანაკარგის ტიპი	ზემოქმედება	პზდ პირების კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
	კომერციულ/საცხოვრებელ მიწას		დაკარგული მიწის ექვივალენტური ღირებულების მიწით ჩანაცვლება, პზდ პირისთვის მისაღები ადგილმდებარეობით, როცა შესაძლებელია.
		ლეგალიზაციას დაქვემდებარებული მესაკუთრე	ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის უფლებები დაკანონებული იქნება და მიიღებენ ფულად კომპენსაციას ჩანაცვლების ღირებულებით.
		დამქირავებელი/მოიჯარე	3 თვის ქირის გადასახადი ნაღდი ფულით
		უკანონო მფლობელები/რეგისტრაციის/ კანონიერი დოკუმენტაციის არმქონე პზდ პირები	1 წლის საარსებო მინიმუმის ოდენობის ექვივალენტური ერთჯერადი ფულადი შემწეობა თვითგადაადგილებისთვის.
<b>შენობა-ნაგებობები</b>			
საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ნაგებობები/ აქტივები		ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა ოჯახი კანონიერი საკუთრების/რეგისტრაციის სტატუსის მიუხედავად (მათ შორის ლეგალიზებული და არაოფიციალური მობინადრეები)	ყველა ზემოქმედება განიხილება სრული ზემოქმედების სახით რეალური გავლენის პროცენტულობის მიუხედავად. ფულადი კომპენსაცია სრული ჩანაცვლების ღირებულებით, ამორტიზაციისა და ტრანზაქციის ღირებულების გარეშე.
<b>საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის/საერთო საკუთრების დაკარგვა</b>			
საზოგადოებრივი საკუთრების რესურსების დანაკარგი	თემის/საზოგადოებრივი აქტივები	საზოგადოება/მთავრობა	დაკარგული ნაგებობების რეკონსტრუქცია საზოგადოებასთან კონსულტაციების გზით და მათი ფუნქციების აღდგენა
<b>შემოსავლისა და საარსებო წყაროს დაკარგვა</b>			
მოსავალი	ზემოქმედებას დაქვემდებარებული ნათესები ან დაგეგმილი მოსავლიდან მისაღები შემოსავლის დაკარგვა**	ზემოქმედებას დაქვემდებარებული ყველა ოჯახი სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად (მათ შორის ლეგალიზებული და არაოფიციალური მობინადრეები)	მოსავლის ფულადი კომპენსაცია სრული საბაზრო განაკვეთით რეალური ან მოსალოდნელი მოსავლის ღირებულების გათვალისწინებით. ამ პუნქტის ანაზღაურება მოხდება ავტომატურად მიუხედავად იმისა ზემოქმედების დროისთვის მოსავალი აღებული იყო თუ არა
ხეები	ზემოქმედებას	ზემოქმედებას	კომპენსაცია ნაღდი ფულით საბაზრო

დანაკარგის ტიპი	ზემოქმედება	პზდ პირების კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
	დაქვემდებარებული ხეები	დაქვემდებარებული ყველა ოჯახის სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად (მათ შორის ლეგალიზებული და არაოფიციალური მობინადრეები)	განაკვეთის გათვალისწინებით ხეების ტიპის, ხანდაზმულობის და ნაყოფიერების საფუძველზე.
ბიზნესი/დასაქმება	ბიზნესის/სამუშაოს დაკარგვა	ზემოქმედებას დაქვემდებარებული ყველა ოჯახის სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად (მათ შორის ლეგალიზებული და არაოფიციალური მობინადრეები)	მესაკუთრე: (i). (მუდმივი ზემოქმედება) ფულადი ანაზღაურება 1 წლის წმინდა შემოსავლის ოდენობით; (ii) (დროებითი ზემოქმედება) ფულადი ანაზღაურება შეჩერებული ბიზნესის თვეების მიხედვით წმინდა შემოსავლის ოდენობით. შემოსავალი დაიანგარიშება საგადასახადო დეკლარაციის ან მისი არარსებობის შემთხვევაში, საარსებო მინიმუმის საფუძველზე. მუდმივი მუშაკი/დასაქმებული პირი: დაკარგული ხელფასის ანაზღაურება 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით.
<b>შემწეობა</b>			
ძლიერი ზემოქმედება	>10% შემოსავლის დაკარგვა	ძლიერი ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა ოჯახის, არაფორმალური მობინადრეების ჩათვლით	სასოფლო-სამეურნეო შემოსავალი: დამატებითი მოსავლის კომპენსაცია, რაც მოიცავს ზემოქმედების ქვეშ მყოფი მიწიდან მიღებული ორი წლის მოსავალს. სხვა სახის შემოსავალი: დამატებითი კომპენსაცია 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით.
გადაადგილება/გადანაცვლება	სატრანსპორტო/გადასვლის ხარჯები	ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა ადგილმონაცვლე ოჯახი	დახმარების უზრუნველყოფა ტრანსპორტირებისა და საცხოვრებელი ხარჯების დასაფარად 3 თვიანი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით
მოწყვლადი მოსახლეობის დახმარება		ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა ოჯახის სიღარიბის ზღვარს ქვევით, ქალი, ინვალიდი ან ხანდაზმული მარჩენალით.	დახმარება 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით *

დანაკარგის ტიპი	ზემოქმედება	პზდ პირების კატეგორია	საკომპენსაციო უფლებამოსილება
<b>დროებითი დაკარგვა</b>			
დროებითი ზემოქმედება მშენებლობის პროცესში		ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა ოჯახი	წინამდებარე განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე მშენებლობის პერიოდში მოხდება სათანადო კომპენსაციების შეფასება და გადახდა
განსახლების გაუთვალისწინებელი ზეგავლენა, თუ გამოვლინდა			საავტომობილო გზების დეპარტამენტმა და მშენებელ-კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს პროექტის მიმდინარეობის დროს განსახლებით გამოწვეულ გაუთვალისწინებელ ზეგავლენაზე რეაგირება და შემსუბუქება/ანაზღაურება

\* საარსებო მინიმუმი უნდა დაანგარიშდეს 5 კაციანი ოჯახის და ყოველთვიურად განახლებადი მანქანების საფუძველზე, რომელიც განსახლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების დროისთვის მითითებული იქნება საქართველოს ეროვნული სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ.

\*\* შემოსავალი რომელიც მოსალოდნელია ბოლო წლების მანძილზე მოსავლის მოსაყვანად მუდმივად გამოყენებული ზემოქმედებას დაქვემდებარებულ სასოფლო-სამეურნეო მიწაზე მოყვანილი მოსავლიდან. იმ შემთხვევაში, თუ მიწა მუდმივად გამოიყენებოდა მოსავლის მოსაყვანად, მაგრამ იმ წელიწადს, როდესაც დანაკარგების აღრიცხვა განხორციელდა, დასათასად არ გამოყენებულა (ამ მიწის დასვენების ან ფერმერის ავადმყოფობისა თუ სხვა გამამართლებელი მიზეზით), მიწის ნაკვეთი მაინც ჩაითვლება, როგორც მოსავლის მოსაყვანად ვარგისი და გადახდილ იქნება კომპენსაცია.

#### 4.1 კომპენსაციის მიღების უფლებამოსილება

ქვემოთ მოცემულია პროექტის ზემოქმედებას დაქვემდებარებული (პზდ) პირები, რომლებიც უფლებამოსილი არიან პროექტის ფარგლებში მიიღონ კომპენსაცია ან როგორც მინიმუმ სარეაბილიტაციო პირობები:

- ყველა პზდ, რომელიც დაკარგავს კანონიერი რეგისტრაციის/ მიწაზე ტრადიციული უფლების მქონე, ლეგალიზებად თუ კანონიერი სტატუსის არ მქონე მიწას;
- დამქირავებლები და მოიჯარეები, განურჩევლად იმისა რეგისტრირებული არიან თუ არა;
- შენობების, მოსავლის, ნათესებისა და მიწაზე დამაგრებული სხვა ობიექტების მფლობელები; და
- პროექტის ზემოქმედებას დაქვემდებარებული პირები, რომლებიც კარგავენ ბიზნესს, შემოსავლასა და ხელფასს.

კომპენსაციის უფლებამოსილება განსაზღვრულია შეწყვეტის დროით, რომელიც თითოეული ქვეპროექტისთვის დაწესდება პზდ პირების აღწერის დაწყების დღეს. იმ პზდ პირებს, რომლებიც ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე შეწყვეტის

დროის გასვლის შემდეგ დასახლდებიან, არ ექნებათ კომპენსაციის მიღების უფლება. თუმცა, ისინი მიიღებენ წინასწარ შეტყობინებას, პროექტის დაწყებამდე შენობის დაცვის და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნაგებობების დაშლის მოთხოვნით. არ მოხდება დემონტირებული ნაგებობების მასალების ჩამორთმევა და მათ მიმართ რაიმე სახის ჯარიმის ან სანქციის დაწესება.

## 4.2 საკომპენსაციო უფლებები

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის მიწის, სახლების და შემოსავლების დაკარგვის საკომპენსაციო გადასახადები და სარეაბილიტაციო სუბსიდიები ითვალისწინებს მიწის დროებითი ან მუდმივი დაკარგვის, შენობა-ნაგებობების, მოსავლისა და ნარგავების დაკარგვის ანაზღაურებას და ბიზნეს შემოსავლების დანაკარგების კომპენსაციას საგადასახადო დეკლარაციას და/ან ერთდროულად გადახდილი თანხების საფუძველზე. ქვემოთ დეტალურად არის მოცემული საკომპენსაციო უფლებები:

- სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ზეგავლენა ანაზღაურდება ადგილმონაცვლეობის ღირებულების საფუძველზე, ან დაკარგული მიწის ექვივალენტური ღირებულების მქონე ნაკვეთის გადაცემით პზდ პირებისთვის მისაღებ ადგილზე, სადაც ეს შესაძლებელია, ან კომპენსაცია გაიცემა ფულადი სახსრებით არსებული საბაზრო ტარიფით ტრანზაქციის ხარჯების გადახდის გარეშე ან (თუ არ არსებობს მიწის მოქმედი ბაზრები) ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის რეპროდუქციის ღირებულების საფუძველზე. პროგრამისთვის არჩეულ იქნა თანხის გადახდა საბაზრო ტარიფით. როდესაც პზდ პირის სასოფლო-სამეურნეო მიწის 10%-ზე მეტი ექცევა ზემოქმედების ქვეშ, პზდ პირი (მესაკუთრეები, მოიჯარეები) მიიღებენ დამატებით შემწეობას ძლიერი გავლენისათვის, რომელიც დაკარგულ მიწაზე ორწლიანი მთლიანი მოსავლის საბაზრო ღირებულების ექვივალენტურია. თუ ძლიერი ზეგავლენა სხვა სახის შემოსავალს ეხება, პზდ პირები მიიღებენ დამატებით კომპენსაციას, რომელიც შეესაბამება 3 თვის საარსებო მინიმუმს. ტრანზაქციის გადასახადებს/ღირებულებას დაფარავს განმახორციელებელი უწყება ან მოხდება მისგან გათავისუფლება. დაზარალებულ პირებს, რომლებსაც აქვთ მიწის დაკანონების იურიდიული საფუძველი (ლეგალიზებული მესაკუთრეები), დაუკანონდებათ ეს უკანასკნელი და კომპენსაციასაც კანონიერი მესაკუთრეების სახით მიიღებენ. არალეგალიზებად პზდ პირებს მიეცემათ მხოლოდ ერთჯერადი თვითგადაადგილების საზღაური ფულადი სახით, რომელიც 3 თვიანი საარსებო მინიმუმის ოდენობის ექვივალენტურია. კომპენსაცია ასევე გაიცემა საცხოვრებელი მიწის ნაკვეთის იმ ნაწილზე, რომელსაც არ შეეხება ზემოქმედება, მაგრამ შესყიდვის შემდეგ მიუვალი ან არარენტაბელური გახდა.
- არასასოფლო-სამეურნეო მიწა (საცხოვრებელი/კომერციული ფართი). კანონიერი მობინადრეები მიიღებენ კომპენსაციას ჩანაცვლების ღირებულებით, ან დაკარგული მიწის ექვივალენტური ღირებულების მიწით ჩანაცვლება პზდ პირისთვის მისაღები ადგილმდებარეობით, როცა შესაძლებელია, ან ნაღდი ფულით ამჟამინდელი საბაზრო ტარიფით, ტრანზაქციის გადასახადებისა და ამორტიზაციის ღირებულების გარეშე. პროგრამისთვის არჩეული ვარიანტია ფულადი კომპენსაცია საბაზრო ტარიფის გათვალისწინებით. დამქირავებლები/მოიჯარეები მიიღებენ ფულად

დახმარებას 3 თვის ქირის გადასახადის ოდენობით. არალეგალიზებადი და არაფორმალური მიწით მოსარგებლები მიიღებენ ერთჯერადი თვითგადაადგილების ფულად დახმარებას 1 წლის საარსებო მინიმუმის ოდენობით. აღნიშნული დახმარება უნდა დაანგარიშდეს 5 კაციანი ოჯახის და ყოველთვიურად განახლებადი მანქანების საფუძველზე, რომელიც განსახლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების დროისთვის მითითებული იქნება საქართველოს ეროვნული სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ.

- სახლები, შენობები და ნაგებობები. საგზაო მოძრაობით გამოწვეული დისკომფორტისა და ვიბრაციების შედეგად მოსალოდნელ დაზიანებაზე რეაგირების მიზნით, ამ პუნქტების ანაზღაურება მოხდება სრულად მთელი შენობისთვის, დაზიანების ხარისხის მიუხედავად. კომპენსაცია გიცემა ნაღდი ფულით ჩანაცვლების ღირებულების გათვალისწინებით ტრანზაქციის გადასახადებისა და ამორტიზაციის ღირებულების ან გადარჩენილი მასალების გამოკლებით. ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ყველა შესაბამის პირს გააჩნია ამ პირობის გამოყენების უფლებამოსილება ზემოქმედების ქვეშ მყოფი ობიექტის რეგისტრაციის სტატუსის მიუხედავად.
- ნათესები: ფულადი კომპენსაცია მიმდინარე საბაზრო ფასით 1 წლის მოსავლის ღირებულებაზე მოხდება ავტომატურად<sup>1</sup>. მოსავლის კომპენსაცია მიეცემათ როგორც მიწის მესაკუთრებს, ისე მოიჯარეებს, მათი კონკრეტული წილობრივი ხელშეკრულებების საფუძველზე.
- ხეები: კომპენსაცია ნაღდი ფულით საბაზრო განაკვეთის გათვალისწინებით ხეების ტიპის, ხანდაზმულობის და პროდუქტიულობის საფუძველზე.
- ბიზნესები: ბიზნესის სამუდამოდ დაკარგვის შემთხვევაში, ფულადი ანაზღაურება გაიცემა 1 წლის შემოსავლის ოდენობით, საგადასახადო დეკლარაციის ან მისი არარსებობის შემთხვევაში, ოფიციალური საარსებო მინიმუმის საფუძველზე; ბიზნესის დროებით დაკარგვის შემთხვევაში ფულადი ანაზღაურება გაიცემა ბიზნესის შეჩერებული პერიოდისთვის. შემოსავალი დაიანგარიშება საგადასახადო დეკლარაციის ან მისი არარსებობის შემთხვევაში, მინიმალური ოფიციალური საარსებო მინიმუმის საფუძველზე.

---

<sup>1</sup> ავტომატური კომპენსაცია ნიშნავს, რომ მოსავლის კომპენსაცია გაიცემა განურჩევლად იმისა ზემოქმედების დროისთვის მოსავალი აღებული იყო თუ არა. ეს ასევე მოიცავს კომპენსაციას იმ შემოსავლისთვის, რომელიც მოსალოდნელია ბოლო წლების მანძილზე მოსავლის მოსაყვანად მუდმივად გამოყენებული ზემოქმედებას დაქვემდებარებულ სასოფლო-სამეურნეო მიწაზე მოყვანილი მოსავლიდან. იმ შემთხვევაში, თუ მიწა მუდმივად გამოიყენებოდა მოსავლის მოსაყვანად, მაგრამ იმ წელიწადს, როდესაც დანაკარგების აღრიცხვა განხორციელდა, დასათასად არ გამოყენებულა (ამ მიწის დასვენების ან ფერმერის ავადმყოფობისა თუ სხვა გამამართლებელი მიზეზით), მიწის ნაკვეთი მაინც ჩაითვლება, როგორც მოსავლის მოსაყვანად ვარგისი და გადახდილ იქნება კომპენსაცია.

- ზემოქმედებას დაქვემდებარებული ბიზნეს მუშაკები/დაქირავებული თანამშრომლები: დაკარგული ხელფასის ანაზღაურება მოხდება ბიზნესის შეჩერების პერიოდის გათვალისწინებით მაქსიმუმ 3 თვემდე.
- ადგილმონაცვლეობის სუბსიდია: ზემოქმედების ქვეშ მყოფი ის მყოფი პირები, რომლებიც იძულებულნი არიან გადაადგილდნენ, მიიღებენ გადაადგილების სუბსიდიას, რაც საკმარისი იქნება ტრანსპორტირებისა და საცხოვრებელი ხარჯების დასაფარად 3 თვის განმავლობაში.
- მოწყვლადი მოსახლეობის დახმარება: მოწყვლადი მოსახლეობა (ოჯახები სიღარიბის ზღვარს ქვევით, ქალი ან ხანდაზმული მარჩენალით ან მარჩენალდაკარგული) მიიღებს 3 თვის საარსებო მინიმუმის ექვივალენტურ დახმარებას. აღნიშნული დახმარება უნდა დაანგარიშდეს 5 კაციანი ოჯახის და ყოველთვიურად განახლებადი მაჩვენებლების საფუძველზე, რომელიც განსახლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების დროისთვის მითითებული იქნება საქართველოს ეროვნული სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ.
- დახმარება ძლიერი ზემოქმედების შემთხვევაში: პზდ პირი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მიწის 10%-ზე მეტს ან არასასოფლო-სამეურნეო შემოსავლის 10%-ზე მეტს კარგავს მიიღებს ძლიერი ზეგავლენისთვის განსაზღვრულ დახმარებას. როდესაც პზდ პირის სასოფლო-სამეურნეო მიწის 10%-ზე მეტი ექცევა გავლენის ქვეშ, პროექტის ზემოქმედებას დაქვემდებარებული პირები (მესაკუთრეები, მოიჯარები) მიიღებენ დამატებით შემწეობას, რაც მოიცავს დაკარგულ მიწაზე ორწლიანი მოსავლის საბაზრო ღირებულების ექვივალენტურ ოდენობას. სხვა სახის შემოსავალზე ძლიერი ზემოქმედების შემთხვევაში, პზდ პირები 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობის შესაბამის დამატებით კომპენსაციას მიიღებენ. აღნიშნული დახმარება უნდა დაანგარიშდეს 5 კაციანი ოჯახის და ყოველთვიურად განახლებადი მაჩვენებლების საფუძველზე, რომელიც განსახლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების დროისთვის მითითებული იქნება საქართველოს ეროვნული სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ.
- ერთობლივ/თემის მფლობელობაში არსებული ნაგებობები და კომუნალური საშუალებები: მოხდება მათი სრულყოფილი გადატანა ან რეაბილიტაცია პროექტამდე არსებული ფუნქციების სათანადო აღდგენით.

#### 4.3. საკომპენსაციო ერთეულის ღირებულების შეფასება

სხვადასხვა საგნების ერთეულის საკომპენსაციო ღირებულების შეფასების მეთოდოლოგია შემდეგნაირია:

- (i) სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა უნდა შეფასდეს ადგილმონაცვლეობის კოეფიციენტით ორი სხვადასხვა მეთოდოლოგიის მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე არსებობს თუ არა აქტიური მიწის ბაზარი.



ა) სადაც აქტიური მიწის ბაზარი არსებობს, მიწების კომპენსაცია განხორციელდება ადგილმონაცვლეობის კოეფიციენტით გასულ წელს მიწების გაყიდვის კვლევის ჩატარების საფუძველზე.

ბ) სადაც აქტიური მიწის ბაზარი არ არსებობს, მიწების კომპენსაცია განხორციელდება ანალოგიური მიწის ნაკვეთის მახასიათებლების, დაკარგული ნაკვეთის ხელმისაწვდომობისა და პროდუქტიულობის რეპროდუქციული ღირებულების საფუძველზე. ამ შემთხვევების ზუსტი შეფასების მეთოდოლოგია დეტალურად ასახული უნდა იყოს განსახლების სამოქმედო გეგმებში (გსგ).

(ii) სახლები/შენობები ფასდება ადგილმონაცვლეობის კოეფიციენტით მშენებლობის ტიპის, მასალების ღირებულების, მუშა-ხელის, ტრანსპორტისა და სხვა სამშენებლო ხარჯების ხარჯზე. ტრანზაქციული და საამორტიზაციო ხარჯების დაკავება არ გამოიყენება. ნაწილობრივი ზემოქმედებისათვის (თუ ზარალი არის დაზიანებული ნაგებობის შესაკეთებლად გადახდილ კომპენსაციაზე 15%-ით ნაკლები)

(iii) წლიური მოსავალი ფასდება წმინდა საბაზრო განაკვეთით სოფლის მეურნეობის პროდუქტზე მწარმოებლის მიერ დადებული წლიური ფასით. იმ შემთხვევაში, როცა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს უნდა მიეცეთ ერთი წლის კომპენსაციაზე მეტი, პირველი ანგარიშსწორების შემდეგ კომპენსაცია განხორციელდება მთლიანი საბაზრო ღირებულებით.

(iv) ხეების შეფასება მოხდება სხვადასხვა მეთოდოლოგიის მიხედვით, რაც დამოკიდებულია ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ხეების მსხმოიარობაზე.

ა) არამსხმოიარე ხეები შეფასდება ხნოვანობის მიხედვით (ა. ნერგი; ბ. საშუალო ასაკი და გ. სრული ასაკოვნება) და შეშის ფასი და მოცულობა.

ბ) ხილის/მსხმოიარე ხეების ფასი განისაზღვრება ხნოვანობის კატეგორიის საფუძველზე (ა. ნერგი; ბ. მომწიფებული ასაკის არამსხმოიარე და გ. მსხმოიარე). (ა) და (ბ) ეტაპის ხეების კომპენსაცია განისაზღვრება განხორციელებული საინვესტიციო ღირებულების საფუძველზე; (გ) ეტაპის ხეების კომპენსაცია განისაზღვრება წლიური სუფთა მოსავლის საბაზრო ფასის გამრავლებით წლების იმ რაოდენობაზე, რაც საჭიროა ახალი ხის სრული მსხმოიარობისათვის.

ერთეულის საკომპენსაციო განაკვეთი ფასდება პროექტის კონსულტანტების ან უფლებამოსილი დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ მსოფლიო ბანკისათვის მისაღები ღია და გამჭვირვალე მეთოდოლოგიის საფუძველზე. შეფასებული საკომპენსაციო განაკვეთები შემდეგ გადამოწმდება და დამტკიცდება სგდ-ს განსახლების სამმართველოს მიერ.

#### 4.4. ექსპროპრიაცია და ლეგალიზაცია

მიწების ათვისება ექსპროპრიაციის საშუალებით არის ხანგრძლივი პროცედურა, რასაც ხშირად შესაძლოა მოჰყვეს წინააღმდეგობა. მსგავსი მიდგომა პროგრამის ფარგლებში უნდა გატარდეს მხოლოდ ექსტრემალურ სიტუაციებში, როდესაც პზქმ და სგდ-ს შორის მოლაპარაკება ვერ შედგება და ალტერნატიული მიწა არ მოიძებნება ქვეპროექტის განსახორციელებლად. ამ შემთხვევებში, სგდ ვერ დაიკავებს საჭირო ნაკვეთებს ვიდრე: (i) კანონით დადგენილი შესაბამისი იურიდიული პროცესი არ დაიწყება; (ii) სასამართლო აკრძალვა არ იქნება მოპოვებული და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან (პზქმ) არ მოხდება სათანადო კომუნიკაცია; და (iii) საკომპენსაციო/სარეაბილიტაციო ხარჯები არ ჩაირიცხება ესქროუ ანგარიშზე. უნდა განხორციელდეს იმ პზქმ პირების, რომელთაც არ აქვთ გავლილი სათანადო რეგისტრაცია, მაგრამ არიან დაკარგული ნაკვეთების კანონიერი მფლობელები, ლეგალიზება და რეგისტრირება მიწების რეესტრში. ყოველივე ამის შემდეგ, ისინი მიიღებენ სრულ კომპენსაციას, როგორც კანონიერი პზქმ პირები.

#### 5. ბენეფიციური ბავლენები და შემარბილებელი ღონისძიებები

ქალები ასრულებენ მნიშვნელოვან ეკონომიკურ როლს საპროექტო ფართობებზე და ჩართული არიან სხვადასხვა შემოსავლის მომტან საქმიანობაში სასოფლო-სამეურნეო და საბაზრო სექტორებში. პროექტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ ქალებმა მიიღონ თავიანთი საქმიანობის შესაბამისი კომპენსაციები და უზრუნველყოს, რომ ის ქალები, რომლებიც რეალურად მართავენ შინამეურნეობას შეყვანილი იქნენ სესხის ფარგლებში განსახორციელებელი საკომპენსაციო და სარეაბილიტაციო შეღავათების მიმღებთა რიცხვში. ყოველივე ზემოთ ხსენებულის განსახორციელებლად უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- ქალების ჩართვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების აღრიცხულთა სიაში
- პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების/პირების ზემოქმედების შეფასება, სადაც მითითებული ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახებისა და ხალხის მთლიანი რაოდენობა დაცალკეებული იქნება სქესის მიხედვით, რათა თვალნათელი გახდეს თუ რამდენი ქალი მოყვება პროექტის დაქვემდებარებაში და განისაზღვროს მათი პროექტის დაწყებამდე არსებული პირობები.
- ქალები მონაწილეობას მიიღებენ კონსულტაციების პროცესში საკომპენსაციო შეღავათებისა და განსახლების პოლიტიკის განხორციელების გადაწყვეტისა და მოლაპარაკების მიზნით.
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფის განსახლების ზემოქმედებაზე განსახლების პოლიტიკის მონიტორინგისა და შეფასების დროს.

#### 6. საჯარო შეხვედრები, მონაწილეობა და დოკუმენტების გამომქვეყნება

ცენტრის, რაიონის/საკრებულოს, მუნიციპალიტეტებისა და სოფლების/საკრებულოს დაინტერესებული ოფიციალური პირები ინფორმირებული იქნებიან პროექტის შესახებ და მათი დახმარებით მოხდება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ატივების ინვენტარიზაცია, პზქმპ-ების აღწერა და დეტალური აზომვები. ასევე, გსგ-ის დასრულებამდე და პროექტის უფლებამოსილ ორგანოებთან მის წარდგენამდე, პზქმპ ინფორმირებული უნდა იყვნენ აღწერისა და დეტალური აზომვების შედეგების შესახებ, და მათი უპირატესობა კომპენსაციებზე და განსახლებასთან მიმართებაში გაწეულ სხვა სახის დახმარებაზე სათანადოდ უნდა იყოს გათვალისწინებული. პროცესები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პზქმპ-ისა და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას დეტალურად აღწერილი უნდა იყოს გსგ-ებში, რომელიც ასევე მოიცავს დათარიღებულ დანართს, მონაწილეთა ჩამონათვალს და საჯარო შეხვედრების ოქმებს.

წინამდებარე განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტის ქართული ვერსია უნდა განთავსდეს სგდ-ს ვებ-გვერდზე და სგდ-ს ოფისებში პროექტის შეფასებამდე. განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტის ქართული ვერსია ასევე უნდა გამოქვეყნდეს პზქმპ-ების შესაბამის საკრებულოებში (გამგეობა) და სოფლის მმართველობაში (საკრებულო) როგორც კი ქვე-პროექტები იქნება გამოვლენილი. მისი ინგლისური ვერსია გამოქვეყნდება მსოფლიო ბანკის ვებ-გვერდზე პროექტის შეფასებამდე და მას შემდეგ, რაც განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტი დამტკიცდება განმახორციელებელი ორგანოს მიერ, რომელიც ამ შემთხვევაში არის სგდ. როგორც კი ქვე-პროექტისათვის მომზადდება გსგ და დამტკიცდება სგდ-ს და მსოფლიო ბანკის მიერ, ის უნდა გამოქვეყნდეს შესაბამის საკრებულოში (გამგეობა) და სოფლის მმართველობაში (საკრებულო). ქართული ბროშურა, რომელშიც მოკლედ იქნება ასახული საკომპენსაციო უფლებები, უნდა გაეგზავნოს ყველა პზქმპ/პზქმ ოჯახს საკომპენსაციო/სარეაბილიტაციო პროცესის დაწყებამდე და კონტრაქტის ხელმოწერამდე. კონსულტაციების პროცესი გაგრძელდება პროექტის რეალიზაციის პერიოდში.

## 7. ინსტიტუციონალური ღონისძიებები

მსოფლიო ბანკი იქნება MFF-ის დამფინანსებელი ორგანო. წინამდებარე განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტში აღწერილი საკომპენსაციო/სარეაბილიტაციო პროგრამა მოიცავს განსხვავებულ პროცესებსა და დინამიკებს და სხვადასხვა მოქმედ პირებს. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იქნება განმახორციელებელი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გზების მშენებლობაზე, ისევე როგორც განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტის და შესაბამისად გსგ-ის განხორციელებაზე. სგდ კონსულტანტების დახმარებით შეიმუშავებს და განახორციელებს გსგ-ს თვითოეული პროექტისათვის განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტში განსაზღვრული პოლიტიკისა და პროცედურების საფუძველზე. დეპარტამენტის გარდა, რიგი სახელმწიფო უწყებები წამყვან როლს შეასრულებენ პროექტის დიზაინში, მშენებლობასა და ექსპლუატაციაში. საქართველოს მოქმედი

კანონმდებლობის თანახმად, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო პასუხისმგებელია ბუნებრივ გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე. იუსტიციის სამინისტრო პასუხისმგებელია მიწის საკუთრებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე, ხოლო იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ხორციელდება მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია და შესყიდვის შეთანხმების საფუძველზე ამ უფლების მიწის მესაკუთრეებიდან სგდსთვის გადაცემა. ადგილობრივი მმართველობა საკრებულოსა და სოფლის დონეზე ასევე ჩართულია. თვითოეული ამ მოქმედი პირის როლი დეტალურად აღწერილია ქვევით.

## **7.1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (სგდ)**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (სგდ) ეკისრება სრული პასუხისმგებლობა MFF-ზე. ეს მოიცავს მიწების შეძენისა და განსახლების საკითხების განხორციელებას და დაფინანსებას და უწყებათაშორის კოორდინაციას. სგდ შეასრულებს თავის ფუნქციებს დეპარტამენტში არსებული განსახლების სამმართველოს (სგდგს) მეშვეობით, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მიწების შეძენისა და განსახლების ყველა საკითხის დაგეგმარებისა და განხორციელების საერთო მართვაზე.

**საავტომობილო გზების დეპარტამენტს განსახლების სამმართველო (სგდგს)** დაკომპლექტებულია მიწების შეძენისა და განსახლების სპეციალისტების საკმარისი რაოდენობით, რომელთაც ევალებათ მიწების შეძენისა და განსახლების საკოორდინაციო საკითხები ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის დონეზე და პასუხისმგებელი არიან: (i) პროექტების სკრინინგზე და უნდა უზრუნველყონ, რომ გზები მომზადდეს სათანადოდ და განსახილველად გაიგზავნოს მსოფლიო ბანკში, (ii) ზედამხედველობა გაუწიონ იმ კონსულტანტებს, რომელთაც მოამზადეს გზა და ევალებათ მათი განხორციელების მხარდაჭერა; (iii) მიწების შეძენისა და განსახლებისათვის საჭირო შესაძლებლობების/პოტენციალის დადგენა თვითოეული რეგიონალური ოფისის დონეზე, სადაც მიწების შეძენა და განსახლება ხორციელდება; (iv) სათანადო შიდა მონიტორინგის უზრუნველყოფა; და (v) მსოფლიო ბანკის რეკომენდაციის თანახმად დამოუკიდებელი მონიტორინგის სააგენტოს დაქირავება. სგდგს-მ ასევე უნდა უზრუნველყოს საჭირო დოკუმენტაცია, რომ უზრუნველყოფილი იქნას პროექტის ზემოქმედებას დაქვემდებარებული პირებისათვის (პზდ) მიწების შეძენისათვის და განსახლებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის სწორი გადანაწილება და კოორდინირება უნდა გაუწიოს მიწების შეძენასა და განსახლებასთან დაკავშირებულ დონისძიებებს.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (სგდ) ადგილობრივი ოფისები. სგდ-ს რეგიონული ოფისები გამოყოფს ერთ ოფიცერს, რომელიც დაეხმარება სგდგს-ს მუშაობას და ასევე გაადვილებს კომუნიკაციას სგდგს-ს, ადგილობრივ თვითმმართველობებსა და პზქმ პირებს შორის და დაეხმარება ადგილობრივ თვითმმართველობასთან დკავშირებული მიწების შეძენისა და განსახლების ღონისძიებების განხორციელებაში.

## 7.2. კონსულტანტები

სხვადასხვა კონსულტანტები ჩართული იქნებიან მიწების შეძენისა და განსახლების საკითხებში:

- ა. **PPTA კონსულტანტები:** გუნდი, რომელიც შედგება უცხოელი და/ან ადგილობრივი პერსონალისაგან, რომელთაც აქვთ მიწების შეძენისა და განსახლების შესაძლებლობები და საჭირო კვლევების ჩატარების უნარი, რათა განახორციელონ საველე გამოკვლევები და მოამზადონ სათანადო გსგ-ები I ტრანშისათვის.
- ბ. **პროექტირების კონსულტანტები:** გუნდი, რომელიც შედგება უცხოელი და/ან ადგილობრივი პერსონალისაგან, რომელთაც აქვთ მიწების შეძენისა და განსახლების შესაძლებლობები და საჭირო საველე გამოკვლევების ჩატარების უნარი, რომლებიც დეტალური ტექნიკური პროექტის საფუძველზე განახორციელებენ იგივე ღონისძიებებს პირველი ტრანშის გსგ-ების განახლებისათვის/დასრულებისათვის და ასევე მოამზადებენ გსგ-ებს შემდეგი ტრანშებისათვის.
- გ. **ზედამხედველი კონსულტანტები:** გუნდი, რომელიც შედგება უცხოელი და/ან ადგილობრივი პერსონალისაგან, რომელთაც აქვთ მიწების შეძენისა და განსახლების შესაძლებლობები და საჭირო გამოკვლევების ჩატარების უნარი. ზედამხედველობას გაუწევს მთლიან პროექტს. ზედამხედველი კონსულტანტები ასევე მეთვალყურეობას გაუწევენ გსგ-ს გხორციელებას და გარე მონიტორინგს/შეფასებას გაუწევენ გსგ-ს განხორციელებას პროგრამის შემდეგი ტრანშებისათვის.
- დ. **დამოუკიდებელი მონიტორინგის სააგენტო.** ეს კონსულტანტი დაქირავებული იქნება გარე მონიტორინგის ჩასატარებლად და გსგ-ს შესრულების შესაფასებლად. ზედამხედველი კონსულტანტის არ ყოფნის შემთხვევაში, დამოუკიდებელი მონიტორინგის სააგენტო განაგრძობს გარე მონიტორინგსა და შეფასებას ყველა ტრანშისათვის.
- ე. **აქტივების დამოუკიდებელი შემფასებელი.** ეს იქნება აკრედიტირებული კერძო ფირმა, რომელსაც დაიქირავებს PPTA კონსულტანტები ან პროექტირების კონსულტანტები ზემოქმედების ქვეშ მოქცეული აქტივების შესაფასებლად.

### 7.3. ადგილობრივი თვითმმართველობა


ადგილობრივ თვითმმართველობას, განსაკუთრებით კი საკრებულოს, აქვს უშუალო უფლებამოსილება მიწების მართვაზე, შეფასებაზე, შემოწმებაზე და შექენაზე. მიწების შექენისა და განსახლების კონსულტანტების მიერ განხორციელებული კვლევებისა და აქტივების შეფასების დასამტკიცებლად, სგდ მისი კონსულტანტების მეშვეობით დაფუძნდება საკრებულოში, სადაც გსგ-ები უნდა განხორციელდეს საკრებულოს მიწების შექენისა და განსახლების გუნდის მიერ, რომელშიც იქნებიან საკრებულოს ადმინისტრაციიდან სპეციალურად დანიშნული ოფიციალური პირები. საკრებულოს გუნდს უნდა ჰქონდეს მჭიდრო კავშირი სოფლის მმართველობასთან მიწების შექენისა და განსახლების ღონისძიებების განსახორციელებლად. საკრებულოსა და სოფლის მმართველობის უწყებათა შორის ეფექტური კოორდინაცია განისაზღვრება რეგიონალური სგდ-ს მიერ.

### 7.4. სხვა სააგენტოები და ინსტიტუტები

რამოდენიმე სხვა ინსტიტუტი მიიღებს მონაწილეობას მიწების შექენისა და განსახლების საკითხების მომზადებაში/განხორციელებაში (იხილეთ სქემა 1 ) ესენია:

- (i) **ფინანსთა სამინისტრო.** გსგ-ს განხორციელების ბიუჯეტი დეპარტამენტს მიეწოდება ფინანსთა სამინისტროს მიერ საბოლოო გსგ-ების ოფიციალური დამტკიცების შემდეგ.
- (ii) **იუსტიციის სამინისტრო.** იუსტიციის სამინისტრო პასუხისმგებელია მიწის საკუთრებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე, ხოლო იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ხორციელდება მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია და შესყიდვის შეთანხმების საფუძველზე ამ უფლების მიწის მესაკუთრებიდან სგდ-სთვის გადაცემა.
- (iii) **ადგილობრივი სასამართლოები.** ექსპროპრიაციის შემთხვევაში სგდ ეყრდნობა საკრებულოს სასამართლოს, რომელმაც ჯეროვანი სასამართლო პროცესის საფუძველზე უნდა განიხილოს ექსპროპრიაციის საქმეები, ჩაატაროს მოსმენა და გადაწყვიტოს შეიძლება თუ არა მიწის ექსპროპრიაცია და რა ფასად. ექსპროპრიაციის პროცესის დასაჩქარებლად სგდ-მ მოლაპარაკება უნდა აწარმოოს სასამართლოსთან დაჩქარებული სამოქმედო გეგმის შესახებ.
- (iv) **მსოფლიო ბანკი.** პროექტის პერიოდული ზედამხედველობის გარდა, მსოფლიო ბანკი განიხილავს ყველა გსგ-ს და დაასრულებს კონტრაქტის ხელმოწერის პროცედურას და უზრუნველყოფს ქვე-კონტრაქტორებისათვის სამოქალაქო სამუშაოების დაწყების ინიცირებას.

ცხრილი 1: ორგანიზაციის სტრუქტურული სქემა და ქმედება



## 8. პრეზენტაციები და საჩივრები

შემუშავდება საჩივრების განხილვის მექანიზმი, რომელიც პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს საშუალებას მისცემს გააპროტესტონ ნებისმიერი მათთვის მიუღებელი გადაწყვეტილება, პრაქტიკა, განაცხადი, ან მიწის და სხვა აქტივებისათვის კომპენსაციის გადახდასთან დაკავშირებული მოქმედება. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს მიეწოდებათ სრული ინფორმაცია (წერილობითი სახით ან სიტყვიერად) მათი უფლებების შესახებ და აგრეთვე თუ როგორ უნდა ისარგებლონ საჩივრების შეტანისა და განხილვის მექანიზმით კონსულტაციების, შესწავლის ან

კომპენსაციების გაცემის პერიოდში. ყურადღება ყოველთვის უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ თავიდან იქნეს აცილებული საჩივრები. ამის მიღწევა შეიძლება მიწების ათვისებისა და განსახლების ღონისძიებების ყურადღებით შემუშავებით და ზედმიწევნით განხორციელებით და პზქმ პირების სრული მონაწილეობისა და კონსულტაციების ხარჯზე, და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემებს, და ზოგადად თვითმართველობებს შორის ხანგრძლივი კომუნიკაციებისა და კოორდინაციის ჩამოყალიბების ხარჯზე. საჩივრებისა და პრეტენზიების დაკმაყოფილება უნდა მოხდეს ცხრილი №3-ში აღწერილი პროცესის მიხედვით.

### ცხრილი 3: საჩივრების დაკმაყოფილების პროცესი

მიწის/ მოსავლის კომპენსაცია
1. პირველ რიგში, საჩივრების მოგვარების მცდელობა უნდა მოხდეს სოფლის მმართველობისა და საკრებულოს მიწების შექმნისა და განსახლების გუნდის მონაწილეობით
2. თუ საჩივარის დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა საკრებულოს დონეზე, მაშინ პზქმმ წარადგენს წერილობით საჩივარს რეგიონალურ სგდ-ში. თუ სგდ-ს რეგიონალური ოფისის ჩარევით ვერ მოგვარდება პრობლემა, მაშინ საჩივარი პირდაპირ შეტანილი იქნება სგდს/საგზაო დეპარტამენტში. პზქმ-მა უნდა შეიტანოს საჩივარი სგდ-ს რეგიონული ოფისიდან თავდაპირველი პასუხის მიღებიდან 2 კვირაში და უნდა წარმოადგინოს მისი პრეტენზიის მხარდამჭერი დოკუმენტები.
3. სგდს/სგდ-ს ცენტრალური ოფისი უზრუნველყოფს პასუხს საჩივარის რეგისტრირებიდან 2 კვირაში. სგდს/სგდ-ს გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტის დებულებას.
4. თუ საჩივრების განხილვის სისტემა ვერ დააკმაყოფილებს პზქმ-ს, მათ შეუძლიათ განაგრძონ შემდგომი ქმედებები და თავიანთი საქმე გადააგზავნონ შესაბამის სასამართლო უწყებაში (საკრებულოს სასამართლო)

## 9. მონიტორინგი და შეფასება

პროექტის ფარგლებში მიწების შესყიდვისა და განსახლების ღონისძიებები საჭიროებს როგორც შიდა ისე გარე მონიტორინგს. შიდა მონიტორინგი ჩატარდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამმართველოს (სგდს)/სგდ-ს მიერ. გარე მონიტორინგისათვის სგდ მსოფლიო ბანკის თანხმობით დაიქირავეს დამოუკიდებელი მონიტორინგის სააგენტოს. მსოფლიო ბანკი კონსულტაციას გაუწევს სგდ-ს დამოუკიდებელი მონიტორინგის სააგენტოს ტექნიკურ დავალებაზე როგორც კი დაიწყება პროექტის განხორციელება.

### 9.1 შიდა მონიტორინგი

შიდა მონიტორინგი დაგეგმილად უნდა ჩატარდეს სგდს/სგდ-ს მიერ უშუალოდ ან კონსულტანტების მომსახურების საშუალებით. შედეგები ეცნობება მსოფლიო ბანკს პროექტის განხორციელების ყოველკვარტალური ანგარიშების საშუალებით. შიდა მონიტორინგის ინდიკატორებად აიღება პროცესის მიმდინარეობის უშუალო შედეგები. ეს ინფორმაცია მოიპოვება პირდაპირ სგდ-ს რეგიონული ოფისიდან და ყოველთვიურად წარედგინება სგდს/სგდ-ს გსგ-ის განხორციელების პროგრესისა და შედეგების შესაფასებლად და სამუშაო პროგრამის დასარეგულირებლად. საჭიროების



შემთხვევაში, ყოველთვიური ანგარიშები კვარტალურად გაერთიანდება სტანდარტულ სახედამხედველო ანგარიშში, რომელიც ეგზავნება მსოფლიო ბანკს. სპეციფიკური მონიტორინგის კრიტერიუმებია:

- (i) საინფორმაციო კამპანია და კონსულტაცია პზქმპ-თან;
- (ii) მიწების შესყიდვისა და მიწების კომპენსაციის გადახდის მდგომარეობა;
- (iii) ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნაგებობებისა და სხვა აქტივების კომპენსაცია;
- (iv) პზქმპ-ის ადგილმონაცვლეობა;
- (v) ანაზღაურება შემოსავლის დაკარგვის გამო;
- (vi) შენაცვლებული მიწის ფართობების შერჩევა და გადანაწილება;
- (vii) შემოსავლის აღდგენის ღონისძიებები

ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია უნდა შეგროვდეს სგდსგ/სგდ-ს მიერ, რომელიც პასუხისმგებელია პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი განსახლების ღონისძიებების ყოველდღიურ მონიტორინგზე შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენებით:

- ა) პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა პირის (პზქმპ) აღწერის გადამოწმება;
- ბ) პზქმპ-თან კონსულტაციები და არაფორმალური საუბრები;
- გ) საქმეების საფუძვლიანი შესწავლა;
- დ) პზქმპ-ების შერჩევითი კვლევა;
- ე) საუბარი ძირითად ინფორმაციაზე; და
- ვ) საჯარო შეხვედრები.

## 9.2. გარე მონიტორინგი

გარე მონიტორინგს ახორციელებს დამოუკიდებელი მონიტორინგის სააგენტო. პრინციპში, გარე მონიტორინგის ჩატარება შეუძლია ზედამხედველ კონსულტანტს, იმ შემთხვევაში, თუ ზედამხედველი კონსულტანტის კონტრაქტი გაფორმდება დროულად. გარე მონიტორინგის ინდიკატორები განხორციელებს ორ ეტაპად.

**პირველი ეტაპი.** გარე მონიტორინგის ეს ეტაპი უნდა მიმდინარეობდეს გსგ-ის განხორციელების პარალელურად და დასრულდება მას შემდეგ, რაც გსგ იქნება სრულყოფილად განხორციელებული შესაბამისობის ანგარიშის მომზადების ხარჯზე. მისაღები შესაბამისობის ანგარიში იქნება პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი სამოქალაქო სამუშაოების დაწყების პირობა.

ამ ეტაპზე დამოუკიდებელი მონიტორინგის სააგენტო განახორციელებს შემდეგს: 1) ჩატარებს გამოკვლევას და განსაზღვრავს მეორე ეტაპის სამუშაოებისათვის საჭირო

ინდიკატორებს და (2) გაუწევს მკაცრ მონიტორინგს გსგ-ების განხორციელებას. გსგ-ს განხორციელების მონიტორინგი მოიცავს შემდეგ საკითხებს: (ა) გსგ-ს განხილვა/საინფორმაციო ბროშურის გამოქვეყნება; (ბ) პროექტის განმახორციელებელი უწყების მიერ ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების საკომპენსაციოდ მიღებული ზომების გულდასმით განხილვა და იმის განსაზღვრა, რომ ეს ზომები შეესაბამება თუ არა გსგ-თი გათვალისწინებულს. (გ) ყველა საკომპენსაციო კალკულაციების შემოწმება; (დ) დადგენა იმისა ყველა პჯმ პირს მიეცა თუ არა სრული კომპენსაცია იმ ოდენობით, რაც განსაზღვრულია განსახლების პოლიტიკაში და პჯმპ-ის კონტრაქტებში; (ე) შეაფასოს პჯმ პირების კმაყოფილება საინფორმაციო კამპანიით და მათზე შეთავაზებული საკომპენსაციო/სარეაბილიტაციო პაკეტებით; (ვ) ლეგალიზაციის პროცესის შემოწმება და მისი კანონიერების შეფასება; (ზ) განიხილოს საჩივრებისა & პრეტენზიების საქმეები; (თ) პჯმ პირების გამოკვლევა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების 20%-ის შერჩევით. დამოუკიდებელი მონიტორინგის სააგენტომ უნდა მოამზადოს შესაბამისობის ანგარიში გსგ-ს განხორციელების დასრულებისთანავე. შესაბამისობის ანგარიში უნდა მოიცავდეს კარგად არგუმენტირებულ პარაგრაფებს შემდეგ ზე:

- 1) განხორციელებული კომპენსაციების შეფასება განსახლების პოლიტიკით გათვალისწინებულ კომპენსაციებთან მიმართებაში;
- 2) განსაზღვრა იმისა, რომ მოხდა თუ არა ყველა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირის კომპენსაცია განსახლების პოლიტიკით გათვალისწინებული მოცულობით;
- 3) პრეტენზიებისა და საჩივრების საქმეების და მათი გადაჭრის გადამოწმება;
- 4) მოწყვლადი პჯმ პირების სარეაბილიტაციო პროგრამის შეფასება;
- 5) პჯმ პირების დაკმაყოფილების შეფასება;
- 6) მიღებული გამოცდილების გამოყენება შემდეგ პროექტებში, და;
- 7) განსახლების პოლიტიკის განხორციელების ზოგადი შეფასება და რეკომენდაციები მსოფლიო ბანკს სამოქალაქო სამუშაოების დასაწყებად თანხმობის წერილის უზრუნველყოფის შესახებ.

**მეორე ეტაპი.** მთლიანი MFF-ის დგანხორციელების დასრულებიდან 6 თვეში, დამოუკიდებელმა მონიტორინგის სააგენტომ უნდა შეაფასოს შემოსავლის რეაბილიტაციის ხარისხი, რომელიც მიღწეული იქნა მიწების შესყიდვისა და განსახლების კომპენსაციისა და რეაბილიტაციის პროგრამით. ქვემოთ მოცემულია გარე მონიტორინგის ამ ეტაპზე განსახორციელებელი გამოკვლევის ძირითადი ინდიკატორები:

- 1) პჯმ პირების სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა განსახლების შემდომ პერიოდში;

- 2) პზქმ პირების რეაქცია და საუბარი საკომპენსაციო ზომებზე, კომპენსაციაზე, ვარიანტებზე, ალტერნატიული განლაგებისა და ადგილმონაცვლეობის გრაფიკზე;
- 3) საცხოვრებლისა და შემოსავლის შეცვლა;
- 4) არაფორმალური ახალმოსახლეების რეაბილიტაცია;
- 5) რეაბილიტაციის მიზნით საკუთრების შეფასების ეფექტურობა/კანონიერება;
- 6) საჩივრების პროცედურების ეფექტურობა/კანონიერება;
- 7) პზქმ პირების დაკმაყოფილების დონე განსახლების შემდეგ პერიოდში.

## 10. პოტენციალის ზრდა და სწავლება/ტრენინგები ბსბ-ის განხორციელებაში

მიწების შექენასთან და განსახლებასთან დაკავშირებული საქმიანობების ეფექტურად განსახორციელებლად საჭიროა სგდგს/სგდ-ს შესაძლებლობების/პოტენციალის გაზრდა. სგდ-მ უნდა განახორციელოს საჭირო პოტენციალის შეფასება და განსაზღვროს პოტენციალის ზრდის ღონისძიებები და თუ საჭიროა მოითხოვოს დამატებითი ექსპერტები. პოტენციალის ზრდის ინიციატივის დაფინანსება შევა პროექტით გათვალისწინებული პოტენციალის ზრდის კომპონენტში.

პოტენციალის ზრდის განხორციელება საჭირო იქნება საკრებულოში. საკრებულოში მიწების შექენისა და განსახლების საკითხებისათვის გამოყოფილი გუნდისათვის უზრუნველყოფილი იქნება სწავლება მიწების შექენისა და განსახლების დაგეგმარებისა და განხორციელებისათვის და ისინი გაეცნობიან მსოფლიო ბანკის პოლიტიკას არანებაყოფლობითი განსახლების შესახებ. ეს განხორციელდება ტრენინგის საშუალებით და მიწების შექენისა და განსახლების საქმიანობებში მონაწილეობით. კონსულტანტები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მიწების შექენისა და განსახლების საკითხებზე სხვადასხვა ეტაპებზე, ე.ი. წინასწაროქრო კვლევა, დეტალური პროექტირება და ზედამხედველობა, მჭიდროდ ითანამშრომლებენ საკრებულოს მიწების შექენისა და განსახლების გუნდთან. უწყვეტი კონსულტაციები და არაფორმალური ტრენინგები საკრებულოს მიწების შექენისა და განსახლების გუნდთან დისკუსიების საშუალებით და გუნდის ჩართულობა მიწების შექენისა და განსახლების ღონისძიებების დაგეგმვაში და განხორციელებაში ინიცირებული და წახალისებული იქნება კონსულტანტების ჯგუფის მიერ.

სგდგს, საკრებულოს და ველზე მომუშავე ყველა დაინტერესებული თანამშრომელი, რომელიც ჩართულია მიწების შექენისა და განსახლების ღონისძიებებში გაივლის ერთკვირიან სწავლებას მსოფლიო ბანკის განსახლების პოლიტიკაში და მენეჯმენტში. პროექტის განხორციელების დასაწყისში ტრენინგს ჩაატარებს დეპარტამენტის მიერ დაქირავებული კონსულტანტი, მოგვიანებით კი დეპარტამენტის განსახლების სამმართველო. სწავლებამ უნდა მოიცვას შემდეგი თემები:

- 1) მიწების შესყიდვის პრინციპები და პროცედურები;
- 2) საჯარო შეხვედრები და მონაწილეობა;

- 3) საკომპენსაციო უფლებები და კომპენსაცია და დამხმარე ანგარიშსწორების მექანიზმები;
- 4) საჩივრების დაკმაყოფილება; და
- 5) განსახლების ღონისძიებების მონიტორინგი.

## 11. განსახლების ბიუჯეტი და დაფინანსება

ყველა გსგ-ს მომზადების და განხორციელების ხარჯები, კომპენსაციებისა და მიწების შექენისა და განსახლების ადმინისტრირების ჩათვლით, განიხილება როგორც პროექტის ღირებულების განუყოფელი ნაწილი და გადახდილი იქნება საქართველოს მთავრობის მიერ, კერძოდ კი სგდ-ს მიერ, როგორც მონაწილე მხარე. ყოველი გსგ მოიცავს პარაგრაფს ბიუჯეტის შესახებ, რომელშიც შედის: (i) საკომპენსაციო ერთეულის განაკვეთი ყველა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული საგნებისათვის და ფულადი დახმარებებისათვის, (ii) საკომპენსაციო ერთეულის გამოთვლის შემდგომი მეთოდოლოგია, და (iii) დანახარჯების ცხრილი ყველა საკომპენსაციო ხარჯებისათვის ადმინისტრაციული და გაუთვალისწინებელი ხარჯების ჩათვლით. გარე მონიტორინგის ხარჯები, კვლევების და გსგ-ების მომზადების ხარჯები გათვალისწინებული იქნება სასესიო ხელშეკრულებაში.

სგდ, როგორც პროექტის მფლობელი, პასუხისმგებელია განსახლების პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭირო სახსრების დროულად გამოყოფაზე. თანხების გადანაწილება უნდა გადამოწმდეს წელიწადში ორჯერ გსგ-ში მითითებული ბიუჯეტის მოთხოვნების საფუძველზე. მიწების შექენისა და განსახლების ფინანსების ნაკადის თანახმად, კომპენსაციისა და რეაბილიტაციის ბიუჯეტი ზპქმპ-ისათვის უშუალოდ გადახდილი უნდა იყოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (სგდ) მიერ.

## 12. განსახლების სამოქმედო გეგმის (გსგ) განხორციელების პროცესი

საქართველოში მიღებული გამოცდილების საფუძველზე, გსგ-ს მომზადებას შესაძლოა დასჭირდეს რამოდენიმე თვე. გსგ-ს მოსამზადებლად და განსახორციელებლად მიწების შექენასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ძირითადი ნაბიჯები თავმოყრილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

### ცხრილი 1: მიწების შექენისა და განსახლების ღონისძიებების პროცესი

ნაბიჯი	ღონისძიება	პასუხისმგებლობა
ა)	გსგ-ს მომზადება	
1	პროექტის სიღარიბისა და სოციალური ზემოქმედების შეფასება	სგდ
2	დეტალური პროექტის დასრულება	პროექტირების კონსულტანტები
3	აღწერისა და დეტალური აზომების გამოკვლევაზე კვლევის ფორმების მომზადება, ადგილობრივი გუნდებისათვის, რომელიც მუშაობს აღწერაზე	კონსულტანტი

	და დეტალურ აზომებზე, სწავლების ჩატარება, და ადგილობრივ სამთავრობო უწყებებთან კოორდინირების დამყარება.	
4	საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო და ტოპოგრაფიული რუკების მოგროვება	კონსულტანტი/სვდგს/საჯარო რეესტრი
5	ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე არსებული მიწების რეესტრის კონტროლი, საკადასტრო რუკების განახლება და კვლევების ჩატარება ზემოქმედებაზე და შეფასებებზე – დეტალური აზომები.	კონსულტანტი/სვდგს/საკრებულოს მიწების შექმნისა და განსახლების გუნდი
7	საჯარო შეხვედრების ჩატარება	კონსულტანტი/სვდგს/საკრებულოს მიწების შექმნისა და განსახლების გუნდი
8	კანონიერი და კანონიერად საცნობი პუქმ პირების იდენტიფიცირება	კონსულტანტი/სვდგს/რეგიონალური სვდ
9	პუქმ პირებთან მოლაპარაკება	კონსულტანტი/სვდგს/რეგიონალური სვდ
10	აღწერების მონაცემების გაერთიანება განსახლების პოლიტიკაში	კონსულტანტი
11	გზგ-ს წარდგენა სვდ-სა და მსოფლიო ბანკისათვის დასამტკიცებლად	კონსულტანტი/სვდგს/მსოფლიო ბანკი
12	გამოცხადება/გამოქვეყნება	კონსულტანტი/სვდგს
<b>ბ )</b>	<b>გზგ-ს დასრულება (დეტალური პროექტი)</b>	
1	დეტალური პროექტი	პროექტირების კონსულტანტი
2	ზემოქმედებისა და პუქმ პირების სიების გადამოწმება დეტალური პროექტის საფუძველზე	კონსულტანტი/ რეგიონალური სვდ/ სვდგს/ საკრებულოს მიწების შექმნისა და განსახლების გუნდი
3	ფასების გადამოწმება შეცვლილი კოეფიციენტის/განაკვეთის მიხედვით	კონსულტანტი/ რეგიონალური სვდ/ სვდგს/ საკრებულოს მიწების შექმნისა და განსახლების გუნდი
4	ლევალიზაცია გასაყვანილი პუქმ პირების ლევალიზაცია	კონსულტანტი/ რეგიონალური სვდ/ სვდგს/ საკრებულოს მიწების შექმნისა და განსახლების გუნდი
5	საბოლოო გზგ-ს მომზადება	კონსულტანტი/ სვდგს
6	მსოფლიო ბანკის თანხმობა	მსოფლიო ბანკი
7	განსახლების პოლიტიკის გამოქვეყნება: ქართული განსახლების პოლიტიკის და საინფორმაციო ბროშურის გავრცელება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მოსახლეობაში; განსახლების პოლიტიკის ინგლისური ვარიანტის განთავსება მსოფლიო ბანკის ვებ-გვერდზე	კონსულტანტი/ სვდგს/ საკრებულოს მიწების შექმნისა და განსახლების გუნდი/მსოფლიო ბანკი
8	სამოქალაქო სამუშაოების კონტრაქტის ხელმოწერა	მსოფლიო ბანკი/სვდ
<b>ბ)</b>	<b>გზგ-ს განხორციელება</b>	
1	თანხმობა კონტრაქტების მინიჭებაზე	მსოფლიო ბანკი
2	საკომუნსაცო გეგმის დეტალური გრაფიკი	სვდ/ სვდგს/
3	ადგილობრივი ცვლადების შეტყობინების გავრცელება პუქმპ-ში	სვდ/ სვდგს/რეგიონალური სვდ /საკრებულოს მიწების შექმნისა და განსახლების გუნდი
4	მიწების კომუნსაციისათვის ჩეკების გადაცემა	სვდ/ სვდგს/რეგიონალური სვდ /
5	ჩეკების გადაცემა სხვა კომუნსაციისათვის და მხარდაჭერისათვის/რეაბილიტაციისათვის	სვდ/ სვდგს/რეგიონალური სვდ /
6	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნაგებობების/აქტივების დემონტაჟი/ადგილობრივი ცვლადების	სვდ
7	განსახლების პოლიტიკის განხორციელების შემოწმება შესაბამისობის ანგარიშის საშუალებით	სვდ/ სვდგს/დამოუკიდებელი მონიტორინგის სააგენტო/მსოფლიო ბანკი
8	თუ განსახლების პოლიტიკის განხორციელება დამაკმაყოფილებლად მიიჩნევა, გაიცემა შეტყობინება სამოქალაქო სამუშაოების გაგრძელების თაობაზე	მსოფლიო ბანკი/სვდ
<b>დ )</b>	<b>განხორციელების შემდგომი სამუშაოები</b>	
1	განსახლების პოლიტიკის დამოუკიდებელი შეფასება	დამოუკიდებელი მონიტორინგის სააგენტო
<b>შ)</b>	<b>ციკლური/უწყვეტი ღონისძიებები</b>	
1	შიდა მონიტორინგი. მსოფლიო ბანკისათვის კვარტალური ანგარიშები	სვდგს
2	გარე მონიტორინგი. მსოფლიო ბანკისათვის ანგარიშები წელიწადში ორჯერ	დამოუკიდებელი მონიტორინგის სააგენტო/ხელმძღვანელი კონსულტანტი
3	საჩივრების განხილვა/სასამართლო პროცესები	სვდგს/რეგიონალური სვდ /სასამართლო
4	პუქმ პირებთან კომუნიკაცია და უწყებათა შორის კოორდინაცია	სვდ/სვდგს/რეგიონალური სვდ /სასამართლო